პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 სექტემბერი, კვირა, 1989 წ.
№ 184 (10 103) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

იქმნება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ-ი)

## საინიციატივო ჯგუფის მეცხრე სხდომა

**ბარდა** ამ სხდომისა, განვლილ კვირაში ორჯერ შეიკრიბა ეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენციის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტი. სამივე სხდომა მთლიანად მიეძღვნა კონფერენციის ჩატარების ორგანიზაციული საკითხების განხილვას. სხდომებზე ყველა გადაწყვეტილება გამოაქვთ ოლიმპიური ქარტიის იურიდიული საფუძვლების შესაბამისად და მისი წესების მკაცრი დაცვით. რეკომენდაციების მეშვეობით იგივე ეთხოვა ყველა ორგანიზაციას, ვისაც დელეგატის ანკეტები დაეგზავნა. გუშინდელი მონაცემებით ანკეტების 30 პროცენტი უკვე გამზადებული დაუბრუნდა საორგანიზაციო კომიტეტს.

საინიციატივო ჯგუფისა და საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობაში ჩაებნენ იურისტები.

საქართველოს ეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენციის ჩატარების სავარაუდო თარიღად ნავარაუდევია ოქტომბრის პირველი ნახევარი.

კონკრეტული თარიღი გამოქვეყნდება.

## ქუთაისელი მთამსვლელები პამირის მთებში

**საყოველთაოდაა** ცნობილი ქუთაისელ მთამსვლელთა წარმატებები. მათ არაერთი მნიშვნელოვანი ასვლა განუხორციელებიათ და საკავშირო ჩემპიონატებში „ოქრო-ვერცხლიც“ მრავალგზის მოუპოვებიათ. ისინი ამ წარმატებებს აღწევდნენ როგორც საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად, ისე დამოუკიდებლად.

ამ ზაფხულს ქუთაისელებმა კვლავ შეძლეს საკუთარი ძალებით პამირის მწვერვალებზე რამდენიმე საინტერესო ასვლა განეხორციელებინათ.

როგორც საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპიური კლუბის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ახალბედაშვილმა გვაცნობა, ქუთაისელ მთამსვლელთა ჯგუფმა, რომელსაც სპორტის ოსტატობის კანდიდატი მერაბ ნემსიწვერიძე მეთაურობდა, დალაშქრა მე-5-ა კატეგორიის სირთულის მწვერვალი პოლიტექნიკურ (4400 მ.), მე-5-ბ კატეგორიის ბოთხონა (5304 მ.), ჩაპდარა (5297 მ.) და ბოლოს ავიდა მწვერვალ ზამოკზე (5070 მ.), რომელიც თითქმის უმაღლესი სირთულის, მე-6-ა კატეგორიისაა.

— ჩვენი მთამსვლელების დაოსტატებით დიდადაა დაინტერესებული ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დავით ფრუიძე, — ამბობენ ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე მალხაზ ცირეკიძე და ჯგუფის წევრი შალვა გერაძე. — იგი ყოველნაირად ხელს გვიმართავს, რათა ქუთაისში ალპინიზმი კვლავ აღორძინდეს. წლევანდელი ასვლების შემდეგ ჩვენი ჯგუფის ორმა წევრმა I თანრიგის ნორმატივები შეასრულა, ხოლო სხვები მჭიდროდ მიუახლოვდნენ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს.

**ავთანდილ ჭუვიშელი.**

## პირველად მსოფლიოში

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნახტომთა სირთულე — აი, რა გამოარჩევდა ალმა-ათაში გამართულ აკრობატთა საკავშირო თასის გათამაშებას და სწორედ ამიტომ, ორმაგად სასიხარულოა დაბალი თბილისელი გ. მარმარაშვილის წარმატება, რომელმაც პირველად მსოფლიოში შეასრულა სამმაგი მალაყი მოხრით. დაჯილდოებისას ყველაზე მქუხარე ოვაციები, რა თქმა უნდა, მას ერგო.**

ამ შეჯიბრების შედეგების გათვალისწინებით უნდა შედგეს საკავშირო ნაკრები, რომელიც სულ მალე, ოქტომბერში იასპარეზებს მსოფლიო თასის გათამაშებაში. ასე რომ, ვინც თავი გამოიჩინა ყაზახეთის დედაქალაქში, შეუძლია რიგაში (მსოფლიო თასის გათამაშება აქ ჩატარდება) გასამგზავრებელი ბილეთი „ჯიბეში იგულვოს“.

ალმა-ათაში ჩატარებულმა ასპარეზობამ მრავალი პერსპექტიული სპორტსმენი გამოავლინა, არავინ ელოდა, მაგალითად, ქალთა შორის აკრობატულ ხტომებში ვინიცელი ი. ჩერნილევსკაიას გამარჯვებას. ვაჟთა შორის ამ სახეობაში უძლიერესი იყო იაროსლაველი ე. ივანოვი. ვაჟთა წყვილებში ყველას აჯობეს ლენინგრადელმა ა. ილენკომ და ა. ბერეჟნოიმ, რომლებმაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები, კიეველები ვ. ლიაპუნოვი და ს. ჩიჟევსკი ჩამოიტოვეს, ქალთა წყვილებში კი საუკეთესონი იყვნენ ვორონეჟელები ე. დროჟინა და ზ. ალიმოვა. ჯგუფურ ვარჯიშებში პირველი ადგილები დაიკავეს კიეველებმა ლ. კახოვსკაიამ, ტ. პეტრუკმა, ნ. შვეცმა (ქალთა შორის), ვაჟებში — ა. ვინტილოვმა, ი. სოროჩინსკიმ, ვ. მელნიკოვმა, ვ. ბოჩაროვმა (კიევი). შერეულ წყვილებში თავი ისახელეს ე. მირონოვამ და ო. უშაკოვმა (იაროსლავლი).

სურათზე: გ. მარმარაშვილი.

## „დინამო“ — „არარატი“

...**არა** ეს მატჩის ანგარიშის სათაური არ არის, იგი თამაშის დაწყებამდე გაცილებით ადრე ამოვიკითხეთ ქართულად და სომხურად თბილისის აეროპორტში მდგარ წითელ „იკარუსზე“.

ერევნის რეისმა მთელი საათნახევრით დაიგვიანა. მერე შევიტყვეთ, რომ თბილისში გამოსაფრენად გამზადებული ფეხბურთელები ბოლო მომენტში თურმე მეორე თვითმფრინავში გადასხეს — პირველს რაღაც ხელსაწყომ უმტყუნა.

დამხვდურთა შორის იყვნენ საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელი მუშაკები. სტუმართა შორის მათი კოლეგებიც ვიხილეთ ...ინტერვიუსათვის შემზადებული „ლელოს“ კორესპონდენტი დინამოელთა ავტობუსში „არარატის“ ახალ მთავარ მწვრთნელთან, ახლო წარსულში ამ კლუბის ცნობილ მარცხენა გარემარბთან ნიკოლაი ლაზარიანთან (იგი გუნდში ორ თვეზე ცოტა მეტია მუშაობს, მანამდე კი სომხეთის ფეხბურთის სამმარ-

იხ. მე-3 გვ.



თბილისის აეროპორტში. ჯემალ კახრაძის ფოტო.

ჩვენებური დედამიწის გარშემო

## ჯერჯერობით მერვე ადგილზე...

**„უითბრედად“** ცნობილ დედამიწის გარშემო რბოლის მეთვალყურე სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ პირველ ეტაპზე გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს ახალზელანდიურ ორანძიან ნავს „სტეინლაგერს“. მიუხედავად ამისა, სხვა ეკიპაჟები განაგრძობენ დაძაბულ ბრძოლას პირველობისათვის. ეკვატორის გადაკვეთის შემდეგ დაუბერა საკმაოდ ძლიერმა პირქარმა და თანამგზავრ „არგოსის“ მეშვეობით დადგინდა, რომ „სტეინლაგერსა“ და მის უახლოეს მდევარს — შვეიცარიელთა „მერიტს“ შორის მანძილი თანდათან მცირდება. ეკიპაჟები იძულებული არიან მიმართონ ლავირებას, რაც, რა თქმა უნდა, ზრდის დისტანციის სიგრძეს, მაგრამ მრბოლთა სისწრაფე კვლავინდებურად მაღალია. ამჟამად „სტეინლაგერს“ პირველი ეტაპის ფინიშამდე — ურუგვაის ნავსადგურ პუენტა-დელ-ესტამდე — აშორებს 1406 მილი, „მერიტს“ — 1597.

ჩვენი ნავი „ფაზისი“ ჯერჯერობით მერვე ადგილზეა — ფინიშამდე რჩება 1974 მილი. ოცი დღის განმავლობაში „ფაზისის“ საშუალო სიჩქარე იყო 8,6 კვანძი, რაც კარგ შედეგად ითვლება. როგორც „ფაზისის“ მეორე შკიპერმა, ამერიკელმა სკიპ ნოვაკმა განაცხადა რადიოინტერვიუში, საბჭოთა ნავი უბრალოდ როდი მონაწილეობს რბოლაში — იგი საკმაო კონკურენციას უწევს მეტოქეებს, რაც მთავარია, თქვა ნოვაკმა, ეკიპაჟის წევრები იძენენ გამოცდილებას და მეორე ეტაპზე გამარჯვებისთვისაც კი აპირებენ ბრძოლას.

## გმირის პრიზზე

**ბათუმის ცენტრალურ საცურაო აუზში დაიწყო ჭაბუკ (1974-75 წლებში დაბადებულ) წყალბურთელთა XV საკავშირო ტურნირი საბჭოთა კავშირის გმირის გარი მერკვილაძის პრიზზე.**

**საწყის** ეტაპზე აჭარის დედაქალაქში შეკრებილი 9 გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყო: საქართველო I, მოლდავეთი, მოსკოვის „შრომითი რეზერვები“, ქუთაისი, ბათუმი; ბელორუსია, სომხეთი, საქართველო-II, მოსკოვი. I ტურში საქართველოს პირველმა გუნდმა დაამარცხა ქუთაისის ნაკრები 16:8, მოლდაველებმა მოუგეს ბათუმელებს — 13:7, მოსკოველებმა — სომხებს — 9:8, ბელორუსიელებმა — საქართველოს II გუნდს — 11:4. II ტურის ტექნიკური შედეგები ასეთია: საქართველო I — მოლდავეთი — 8:6, მოსკოვის „შრომითი რეზერვები“ — ბათუმი — 3:5, ბელორუსია — სომხეთი — 8:5, მოსკოვი — საქართველო II — 12:0.

ორი ტურის შემდეგ 4-4 ქულით ქვეჯგუფებში დაწინაურდნენ საქართველოს I და ბელორუსიის ნაკრები გუნდები.

შევნიშნავთ, რომ ქვეჯგუფებში I და II ადგილებზე გასული გუნდები დასკვნით ეტაპზე I-IV ადგილებს გაითამაშებენ.

**ოთარ მურვანიძე,**
ტელეფონით.

ბათუმი.

**წოდების მინიჭება**

**საბჭოთა** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა თბილისელ **ნუგზარ ხუციშვილს** (სამბო, პროფკავშირები).

„ლელოს“ რეიდი — სპორტულ ბაზებზე სანიტარული წესრიგი!

## სადაც სურთ ხედავენ, სადაც არ სურთ... არა

**სანიტარული წესრიგი — ყველგან!** ამ სიტყვებს დღეს სად არ გაიგონებთ. მთელს რესპუბლიკაში მიმდინარეობს სანიტარული წესრიგისთვის ბრძოლა. სხვებთან ერთად ამ საქმეს ყურადღებით ეკიდებიან ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა, მერე კი სპორტსახკომის გაფართოებულმა კოლეგიამ დღის წესრიგში ეს საკითხიც წამოწია, დამოკიდებულება სპორტულ ობიექტებზე სისუფთავისადმი რადიკალურად შეიცვალა. თითქმის გაუთავებლად იწმინდება სპორტული ობიექტები, რომლებიც თავმოყრილნი არიან ფიზკულტურის ინსტიტუტის შემოგარენში, აქედან გაიზიდა წლობით ნაგროვები სამშენებლო ნარჩენები და ნაგავი. განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია თვით ფიზკულტურის ინსტიტუტმა და მძლეოსნობის მანეჟის კოლექტივმა. ახლა სულ სხვაგვარად გამოიყურება იქაურობა.

იგივე ითქმის დიღომში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების მძლეოსნობის მანეჟზე, რომელიც დღეს სამაგალითოდაც შეიძლება მივიჩნიოთ.

კარგად გაისარჯნენ ფოთელები. საქართველოს სპორტსახკომის ბრძანების შესასრულებლად ქალაქში შეიქმნა საგანგებო შტაბი, ადრევე შედგა გასაწმენდი სპორტული ობიექტების სია. შტაბის სხდომაზე სისტემატურად ისმენენ ბაზების ხელმძღვანელების ანგარიშებს. 20 სექტემბრისთვის ფოთის ყველა სპორტული ბაზა თითქმის გაწმენდილი იყო. სანიტარული წესრიგის დაცვაზე კონტროლი, როგორც გვითხრეს აქ მუდმივად გაგრძელდება.

ახლა ისევ თბილისს დავუბრუნდეთ. ზუსტად ერთი კვირის წინათ, 17 სექტემბერს, „ლელომ“ გამოაქვეყნა ორი მამხილებელი ფოტოსურათი. ერთი მათგანი დიღმის მასივში მალაზია „წითელქუდას“ გვერდით მდებარე სპორტული მოედნის „ივერიას“ შესასვლელის მარცხენა მხარეს იყო გადაღებული. ლობეზე მიყუდებული ის სამშენებლო მასალის ნარჩენები გაუტანიათ, მაგრამ საოცრება თუ გინდა ეს არის — იქვე, მოედანზე შესასვლელი კარების მარჯვენა მხარეს სრული სიბინძურე იყო და ნაგვისთვის დღემდე არ უხლიათ ხელი. მეტიც, გუშინ იქ ნაგავზე ბოლიც ადიოდა, ხშირად ეს ადგილი ჭაობდება — წყალი გვერდით მდებარე სასადილოდან მოდის.

თუ სპორტული მოედნის ერთი კარების მარცხენა მხარე მაშინ გაიწმინდა, როცა „ლელოში“ სურათი გამოქვეყნდა, იძულებული ვხდებით მეორე მხარეს (ერთმანეთისგან ეს ადგილები 4-5 მეტრითაა დაშორებული) გადაღებული სურათიც დავბეჭდოთ. ეტყობა, ვისაც მისი გაწმენდა ევალება, გაზეთიდან უკეთ ხედავს სად ყრია ნაგავი და სად არა.

„ლელოს“ რეიდი გრძელდება.



სპორტული მოედანი „ივერია“ — შესასვლელიდან მარჯვენა კუთხეში.

# ნონა გაფრინდაშვილი: მხოლოდ პატიოსნებას მოვითხოვ...



**ეს ინტერვიუ რამდენიმე დღის წინ გვქონდა მზად, მაგრამ მისი დაბეჭდვისგან შეგნებულად ვიკავებდით თავს. კიდევ ერთ სასიხარულო მოვლენას ველოდით, გვჯეროდა, უსათუოდ მოვიდოდა კიდევ ერთი დიდი წარმატება — ქეთევან კახიანის გამარჯვება. ამიტომაც ხელმეორედ დავუკავშირდით ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს და ვთხოვეთ თავისი დაკვირვებები კახიანის შესახებაც გაეცნო ჩვენთვის. წინა შეხვედრა, რომლის მიხედვით შექმნილი მასალა შევაყოვნეთ, მსოფლიო პირველობებში ქართველი გოგოების მონაწილეობას ეხებოდა, ე. ი. მსოფლიოს ექსჩემპიონს სასაუბრო თემა ერთი ჰქონდა — დიანა დარჩია, თეა ლანჩავა, სოფიკო ნიკოლაძე, ნათია ჯანჯღავა და ქეთევან კახიანი. ოღონდ, გაფრინდაშვილი ოთხ მათგანს პირადად ადევნებდა თვალს პუერტო-რიკოში, კახიანის ჩემპიონატი კი მოგვიანებით ჩატარდა კოლუმბიაში, მაგრამ საქმე ისაა, რომ გარკვეული ხნის მანძილზე ქალბატონი ნონა კონსულტაციას უწევდა ქეთევან კახიანს და ამდენად ახლოს იცნობს მის შემოქმედებას.**

**მაშ, ასე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მსოფლიო ჩემპიონებისა და მათი მეგობრების შესახებ, და კიდევ...**

— დავიწყოთ თავიდან, — **ამბობს ნონა გაფრინდაშვილი**, — პუერტო-რიკოში, მოზარდთა მსოფლიო პირველობებში საბჭოთა კავშირმა მხოლოდ 12-დან 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შეჯიბრებებში მიავლინა მონაწილეები. ჭადრაკის საკავშირო ფედერაცია თვლის, რომ ყველაზე უმცროს ასაკობრივ ჯგუფში (10 წლამდე) ჩატარებული პირველობები უმნიშვნელოა. მე განსხვავებული აზრისა ვარ. რაკი ტარდება ასეთი შეჯიბრებები, რატომ არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა? გამოცდილებას ხომ მაინც შეიძენენ ნორჩები. მაგალითად, ამ ხნის ბავშვებში ძალიან ნიჭიერია ბულგარელი ანტუანეტა სტეფანოვა, რომელიც თავისი ქვეყნის ამომავალი ვარსკვლავია. სხვათა შორის, მან პუერტო-რიკოში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, თერთმეტივე პარტია მოიგო. ჰოდა, რატომ არ უნდა შევახვედროთ ჩვენი ბავშვები ამ უაღრესად ნიჭიერ თანატოლს. მესმის, რომ ეს მოზარდები ისე არ თამაშობენ, როგორც უფროსები, მაგრამ ასე თუ ვიმსჯელებთ, მაშინ, მე თუ მკითხავთ, 16 წლამდე არც უნდა ჩავატაროთ მსგავსი პირველობები, რადგან უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში ძალიან დაბალია თამაშის დონე. ჩემს დროს და შემდეგაც დიდხანს, საერთოდ არ ტარდებოდა მოზარდთა მსოფლიო პირველობები და გგონიათ, ამით რაიმე მოვიგეთ?

ჩვენს დელეგაციაზე საუბარი იმით მინდა დავიწყო, რომ საოცრად მეგობრული კოლექტივი იყო. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ პუერტო-რიკოში ძალიან ცუდად იყო ორგანიზებული შეჯიბრებები, ძალიან უხეირო საცხოვრებელი პირობები გვქონდა, არც კვება ვარგოდა. და აი, ამ რთულ სიტუაციაში, მართლაც, საუკეთესო თვისებები გამოავლინეს ჩვენმა გოგოებმა. თუმცა ლანჩავა და ნიკოლაძე ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ, მაინც მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდათ. ოთხივე ერთმანეთს ახალისებდა, მხარს უჭერდა. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ, სამწუხაროდ, ასეთ ურთიერთობებს გადაჩვეულები ვართ. ძნელი სათქმელია, რამ მოიტანა ეს — დრომ, კონკურენციამ, ფულადმა პრიზებმა...

ფაქტი ფაქტად რჩება — კონკურენციაც იყო, ჩვეულებრივი სატურნირო დაძაბულობაც, მაგრამ გოგოებში აბსოლუტური სილაღე იგრძნობოდა, ის, რაც ასე უხდება მათ ასაკს.

ჩვენი მოჭადრაკეების გამოსვლა შემიძლია დამაკმაყოფილებლად შევაფასო. ერთადერთი, ვისაც ხელი მოეცარა, ნათია ჯანჯღავა იყო. როგორც მისმა მწვრთნელმა ალექსანდრე იზვოზჩიკოვმა მითხრა, ნათიას ზედიზედ მოუწია რამდენიმე ტურნირში გამოსვლა და, ეტყობა, გადაიღალა. ყოველ შემთხვევაში, ბავშვს ვეღარ ვიცნობდით, თანაც პარტია რომ წააგო, ანერვიულდა, ვერ მონახა თავისი თამაში და საგრძნობლად დაშორდა საპრიზო ადგილებს. შესაძლოა, ეს წარუმატებლობა აკლიმატიზაციის უქონლობის ბრალიც იყო — ის და სოფიკო ნიკოლაძე ხომ მხოლოდ შეჯიბრების გახსნის წინა დღეს ჩავიდნენ პუერტო-რიკოში. უაღრესად დამქანცველი მგზავრობის შემდეგ. იქნებ, ორგანიზმი ვერ შეეგუა ცუდ პირობებს. მაგრამ აქ არაფერია საგანგაშო, რადგან ასეთი „ჩავარდნა" მარტო პატარებს კი არა, დიდებსაც საკმაოდ მოსდით. ნათიას გული არ უნდა გაუტეხოს ამ ამბავმა, მას ყველაფერი წინა აქვს.

● **როგორ ფიქრობთ, ჯანჯღავა რომ ფორმაში ყოფილიყო, შესწევდა უნარი პირველი ადგილისთვის ებრძოლა?**

— ნათია ჯანჯღავა ახლა გავიცანი. 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე რომ მოხვდა საბჭოთა კავშირიდან, ეს უკვე დიდი საქმეა და ბევრ რამეზე მეტყველებს. ესე იგი, მას ძალა აქვს. გარდა ამისა, საქართველოს გოგონათა გუნდის შემადგენლობაში IV საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების ჩემპიონიც გახდა. სხვათა შორის, ამ ასაკობრივ ჯგუფში I ადგილზე ბულგარელი კატრინ ბოიაჯიევა გავიდა, რომელმაც ორიოდე წლის წინ მხოლოდ უკეთესი კოეფიციენტის გამო აჯობა ქეთევან კახიანს და ამგვარად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის. ბოიაჯიევა ძლიერი გოგონაა. საერთოდ, ამ ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ჭადრაკს, ბევრი კლუბი გაიხსნა, კომპიუტერების ცენტრიც აქვთ.

● **სხვათა შორის, საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელობა დაპირდა ჩვენს მოჭადრაკეებს, მალე საჭადრაკო კომპიუტერებს შევიძენთო.**

— ეს დიდებული საქმე იქნება.

● **მაგრამ ეს კომპიუტერები ხომ თბილისში დაიდგმება, ალბათ ჭადრაკის სასახლეში, მაშინ რა ქნან არათბილისელმა მოჭადრაკეებმა?**

— თუ მათ დასჭირდებათ კომპიუტერები, ჩამოვლენ შეკრებებზე, გამოუყოფენ გარკვეულ დროს, დასხდებიან და იმუშავებენ. ეს არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს.

დანარჩენი გოგოები, ვფიქრობ, ნორმალურად გამოვიდნენ. პირველ რიგში, ვიტყვი, რომ დიანა დარჩიამ სრულიად დამსახურებულად მოიპოვა I ადგილი, თუმცა სამი ძლიერი კონკურენტი ჰყავდა — რუმინეთის, იუგოსლავიისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლები. დიანამ ფაქტობრივად ერთი ტურით ადრე გაინაღდა პირველობა, ბოლო ტურში სტრატეგიულად თითქმის მოგებულ შეხვედრაში დაუზავდა მეტოქეს. ვფიქრობ, დარჩია მეტად პერსპექტიული გოგონაა, ჩემზე მან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამ ჩემპიონატზე მე გავემგზავრე, როგორც თეა ლანჩავას მწვრთნელი (ჩვენ უკვე რამდენიმე თვეა დავიწყეთ თანამშრომლობა) და ვინაიდან ყველა მოჭადრაკეს საკუთარი მწვრთნელი არ მიჰყვებოდა (დიდი ხარჯების გამო საკავშირო სპორტსახკომი ეკონომიას ეწევა, ეს გასაგებიცაა, ასეთ პირველობებზე ისედაც მრავალრიცხოვანი დელეგაცია იკრიბება და ცდილობენ ერთმა მწვრთნელმა ორ მოჭადრაკესთან მაინც იმუშაოს), მე დამევალა დიანა დარჩიას დავხმარებოდი. ეს დახმარება წმინდა მორალური ხასიათისა იყო, ვინაიდან ასეთ ასაკში დებიუტებში არ შეიძლება კორექტივების შეტანა. რაც კარგად იცის ბავშვმა, ის უნდა ითამაშოს და ასეც იყო. შავებით არავითარი გაჭირვება არ გვქონია. დიანამ მშვენივრად იცის დებიუტები და ადვილად იგებდა პარტიებს, თეთრი ფიგურებით თამაშისას კი გვქონდა პრობლემები, იმიტომ, რომ თეთრებით გაცილებით მეტი სამუშაოა შესასრულებელი, დიდი მოცულობაა იმ ვარიანტებისა, მოჭადრაკემ აუცილებლად რომ უნდა იცოდეს. რა თქმა უნდა, ასეთ ასაკში ძალიან ძნელია ყველაფრის შესწავლა მოასწროს. სამაგიეროდ, შავებით მოთამაშე რაღაც კონკრეტულ ვარიანტზე მიდის, რაც შედარებით უკეთ იცის. დიანას კონკურენტებთან თამაში თეთრებით მოუწია და ეს შეხვედრები რომ ჩაამთავრა, შვებით ამოისუნთქა. ორ პარტიაში მას ჰქონდა კრიტიკული სიტუაციები, მაგრამ მეტოქეებთან შედარებით იმ უპირატესობას ფლობდა, რომ მოსაფიქრებლად თითქმის მთელი საათით მეტი რჩებოდა. დიანა ძალიან სწრაფად თამაშობდა, საერთოდ, სალი გონების ბავშვია, სწრაფად აზროვნებს, საკმაოდ ლოგიკურად თამაშობს. თუმცა, ისიც ვუთხარი, ეს გამარჯვებები ნუ გაგაყოყოჩებს, შენ კი თამაშობდი კარგად, მაგრამ შენი მეტოქეებიც გიწყობდნენ ხელს, ისინი ვერ თამაშობდნენ-მეთქი ძლიერად.

● **ძირითადად რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება მისმა მწვრთნელებმა?**

— ამ ასაკში ყველაფერზე. აუცილებელია ბავშვმა ნელ-ნელა უკეთ შეისწავლოს თეორია. თეორიაში მას ქუთაისელი სპეციალისტი ალექსანდრ რაზოვსკი ამეცადინებს, დიანას ხშირად უხდება ქუთაისში ჩასვლა. ბათუმში კი გურამ ჭანტურია და ლეონიდ ნეურონოვი მუშაობენ. მათ შეუძლიათ ტექნიკურ ნაწილში მოამზადონ ბავშვი. ამ ასაკში აუცილებელია ტექნიკური ნაწილის ათვისება, ანუ, პოზიციური თამაშის გაგება, ენდშპილის ცოდნა. ის კი არა, ეს ყველა ასაკის ახალგაზრდას სჭირდება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ადგილზე ჭანტურიასა და ნეურონოვს დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ, რაზოვსკიმ კი უნდა განაგრძოს დებიუტებზე მუშაობა. ვფიქრობ, ეს ჯერჯერობით საკმარისია, რადგან ამ ასაკის ბავშვისთვის დიანა საკმაოდ კარგად იყო მომზადებული, რაც, უდავოდ, მწვრთნელების დამსახურებაა.

● **ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ ჯერ ადრეა მის „ცენტრში" გადმოსვლაზე ფიქრი?**

— ნამდვილად. ახლა ბათუმში ყველანაირი შესაძლებლობაა კარგი მოჭადრაკის აღზრდისა, თუ მოინდომებენ, უკეთეს პირობებსაც შეუქმნიან. ჯერ ასე იყოს და მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლება თბილისში გადმოსვლაზე ფიქრიც. თბილისში ახლაც უნდა ჩამოდიოდეს იგი შეკრებებზე, ბათუმში კი შეიძლება კონსულტაციებისთვის სპეციალისტების მიწვევა.

ერთი სიტყვით, დიანა დარჩია ნამდვილად პერსპექტიული მოჭადრაკე იზრდება, მაგრამ ნიჭი ერთია, მთავარი კი ის გახლავთ, ბავშვი თავად იყოს მონდომებული. ამ მხრივ, მან ჯერჯერობით კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა საწვრთნელ პროცესში არ მინახავს დიანა.

თეა ლანჩავასა და სოფიკო ნიკოლაძეს სერიოზული მეტოქეები ჰყავდათ თავიანთ ასაკში. I ადგილის მფლობელი პოლონელი დომბროვსკა უკვე საერთაშორისო ოსტატია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას საერთაშორისო ტურნირების კარგი პრაქტიკა აქვს გავლილი. ძალიან მომეწონა მისი თამაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვან პარტიაში, ლანჩავასთან. თეამ ერთი შეცდომა დაუშვა, რაც ძალიან კარგად გამოიყენა დომბროვსკამ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მოჭადრაკემ შემდგომში გაართულა თამაში, ფიგურა შესწირა, მეტოქის მეფემ კი საკმაოდ „იმოგზაურა" დაფაზე, პოლონელმა საერთაშორისო ოსტატმა მაინც შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა.

ლანჩავას ერთი კარგი თვისება ის გახლავთ, რომ იგი ნებისმიერ სიტუაციაში იბრძვის და არ კარგავს იმედს. დომბროვსკასთანაც მთელი შემართებით იბრძოდა, მაგრამ ისიც მოწოდების სიმაღლეზე იყო, უპირატესობას რომ დაეუფლა, ხელიდან აღარ გაუშვა, პოლონელ მოჭადრაკესაც ჰქონდა საეჭვო პოზიციები, სხვათა შორის, ერთადერთი მარცხი მან სოფიკო ნიკოლაძესთან შეხვედრაში იწვნია, მაგრამ, ვფიქრობ, მისი პირველი ადგილი აბსოლუტურად სამართლიანია. ლოგიკურად მიმაჩნია ლანჩავას, ბულგარელი ნოელისა და ნიკოლაძის მიერ გაყოფილი II-IV ადგილებიც. კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით მონაწილენი საბოლოოდ ამ თანმიმდევრობით განლაგდნენ სატურნირო ცხრილში და სწორედ ამის გამო ვერ მოხვდა ნიკოლაძე პრიზიორთა შორის. თუმცა, იგი მაინც მთელი „დისტანციის" მანძილზე ცოტათი ჩამორჩებოდა დაწინაურებულ მოჭადრაკეებს და მხოლოდ ბოლო პარტიის მოგებით დაეწია მათ. ლანჩავასა და ნოელს კი ყველა მონაცემი აბსოლუტურად თანაბარი ჰქონდათ და თეას მხოლოდ იმიტომ მიენიჭა უპირატესობა, რომ მეტოქეზე უმცროსია.

ახლა ისეთი აზრია შექმნილი, რომ შარშანდელი გამარჯვების შემდეგ (მან შარშან 14 წლამდე ასაკში ყველას აჯობა), ახლანდელი II ადგილი ერთგვარი წარუმატებლობაა. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ 14 და 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ტურნირების ერთმანეთთან შედარება [illegible] შეიძლება. ჯერ ერთი, დომბროვსკა თეაზე უფროსია, მაგალითად, გაისად იგი ვეღარ ითამაშებს ამ ასაკში, თეა კი, როგორც პრიზიორი, შესარჩევი ტურნირის გარეშე ითამაშებს, თანაც პოლონელ მოჭადრაკეს გაცილებით მეტი გამოცდილება აქვს. თანატოლებიც რომ იყვნენ, თუ მეორესთან შედარებით პირველს ბევრ ტურნირში აქვს მიღებული მონაწილეობა, იგი გაცილებით უკეთ იქნება მომზადებული, უფრო სწრაფად გაიზრდება, როგორც მოჭადრაკე. აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ ლანჩავასთან რომ დავიწყე მუშაობა, ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა მისი სადებიუტო მომზადება. არადა, ამ ასაკიდან მოყოლებული, თუ სადებიუტო მომზადება არა გაქვს სათანადო დონეზე, არანაირ წარმატებაზე არ შეიძლება ფიქრი და თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ვთქვი, უკვე ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით სოციალისტურ ქვეყნებში, გამოჩნდნენ ძლიერი მოჭადრაკეები, რომლებიც სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ ჩვენს გოგოებს. ისიც უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთელი მოჭადრაკეები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან. იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში მოჭადრაკეების უზარმაზარი არმიაა და, ბუნებრივია, ყველას დაკმაყოფილება ტურნირებით ძნელია. არადა, იგივე სტეპანოვა ძალიან ხშირად თამაშობს სხვადასხვა ფესტივალებსა თუ ტურნირებში. იმავე ბულგარეთში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც ხომ ძალზე ხშირად ეწყობა საჭადრაკო ფესტივალები. ჩვენში კი, პატარებზე რა უნდა ვთქვათ, როცა მოზრდილებს არა აქვთ განაღდებული ტურნირები.

● **დავიჯეროთ, ჩვენს რესპუბლიკაში არ არის ასეთი ფესტივალების ჩატარების შესაძლებლობა?**

— როგორ არა. მაგალითად ბათუმს შეუძლია ეს, თანაც სტიმულიც მიეცათ — უკვე ჰყავთ „თავიანთი" მსოფლიო ჩემპიონი. მათ საშუალება ეძლევათ ორ ასაკობრივ ჯგუფად გაანაწილონ ორმოცამდე ბავშვი — 10-14 წლისები ერთ ტურნირში გამოვლენ, 16-20 წლისები — მეორეში. ამას არც დიდი თანხები დასჭირდება და არც ექსტრა ჰონორარები. მე მახსოვს, რომ, ბათუმში და სოხუმში, მართალია, მეტად მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ტარდებოდა საერთაშორისო ტურნირები. ამ ზღვისპირა ქალაქებში ჩქეფდა საჭადრაკო ცხოვრება. ახლა იმდენად ნიჭიერი მოჭადრაკე გამოჩნდა ბათუმში, რომ ვფიქრობ, ამ მშვენიერმა ქალაქმა უნდა აღადგინოს ძველი ტრადიციები. მით უმეტეს, იქ სანაოსნო პორტია, რომელსაც ვალუტა აქვს, დარწმუნებული ვარ, არც სხვა ორგანიზაციები იძუნწებენ და ისევ აღორძინდება საჭადრაკო ცხოვრება. მითუმეტეს, ბევრი არაფერია საჭირო, რაც ჩვენ პუერტო-რიკოში ვნახეთ, იმაზე გაცილებით მეტის გაკეთება შეგვიძლია. ბათუმში ყველა სიამოვნებით ჩავა, შინაურიცა და სტუმარიც. ერთი სიტყვით, ახალგაზრდებს აუცილებლად სჭირდებათ პრაქტიკა, ერთმანეთს შორის თამაში, თუნდაც იმიტომ, რომ ერთმანეთს იცნობდნენ. მაგალითად, პუერტო-რიკოში ჩვენ სრულებით არ ვიცოდით, ვის რა რეპერტუარი ჰქონდა და კონკრეტული პარტიის წინ ძალიან გვიჭირდა მომზადება. ასეთ დროს, პარტიის წინ უზარმაზარი მასალის გადათვალიერება გიხდება...

ასეა თუ ისე, ეს II ადგილი თეასთვის არ იყო წარუმატებლობა. გაისამდე დიდი დროა და, ბუნებრივია, ჩვენც ბევრი უნდა მოვასწროთ. ამიტომ, მე მას თავისუფლად დავუსახავ მიზნად I ადგილს მსოფლიო პირველობაზე. მას არავისზე ნაკლები ნიჭი არა აქვს, მხოლოდ ბევრი მუშაობა და თამაში სჭირდება.

(დასასრული იქნება).

---

**დინამოელ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი**

# ავადმყოფობით განპირობებული მარცხი

**ისეთ** მარცხს, როგორიც დინამოელ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში თბილისელებმა განიცადეს, იშვიათად თუ გაიხსენებენ. ამ ჩემპიონატში, რომელიც ლვოვში გაიმართა, ხუთი გუნდი მონაწილეობდა და ხუთივე უმაღლესი ლიგის წარმომადგენელი იყო.

თბილისელები დამარცხდნენ მოსკოველ (13:17), ალმაათელ (7:9) და ლვოველ თანაკლუბელებთან (6:12) შეხვედრებში, ხოლო კიეველებთან ფრედ (7:7) ითამაშეს.

საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვი (7 ქულა), ალმა-ათა (6), ლვოვი (5). კიეველებს, ისე როგორც თბილისელებს, აქტივში თითო ქულა აღმოაჩნდათ, მაგრამ უკრაინის დედაქალაქის წარმომადგენლების გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით IV ადგილზე გავიდნენ.

ერთი სიტყვით, თბილისელებმა სრული ფიასკო განიცადეს.

რამ გამოიწვია ასეთი მარცხი?

— ახლა გუნდის წევრთა ნახევარს ახალგაზრდა, ჯერ გამოუცდელი წყალბურთელები შეადგენენ, — გვეუბნება თბილისელთა მწვრთნელი ბორის მეგედი. — ესენი არიან: გობეჯიშვილი, ხარებავა, მარგიანი, ასათიანი, ჩოლარია და მეკარე კერესელიძე. მართალია, ისინი ჩვენი უპირველესი გუნდის შემადგენლობაში აქამდე მეტ-ნაკლებად თამაშობდნენ, მაგრამ უმეტესობას მაინც წლეულს ჰქონდა დებიუტი და სათამაშო პრაქტიკა აკლდათ. ამასთან, გუნდის წევრთა ლამის ნახევარი შეჯიბრებამდე ავადმყოფობდა. ამ ჩემპიონატის დაწყებამდე ვვარჯიშობდით ბათუმში, სადაც ინფექციური დაავადება ყოფილა და ჩვენს ბიჭებს მწვავე ჩირქოვანი კონიუქტივი შეეყარათ. ზოგს თვალები აწუხებდა, ზოგს ყურების ანთება. ამის გამო ისინი არ ვარჯიშობდნენ. ეს გუნდის ფიზიკურ მომზადებასაც დაეტყო და ლვოვში დაძაბულ თამაშს ბოლომდე ვერ უძლებდნენ. მაგალითად, მოსკოველებთან შეხვედრას მეოთხე პერიოდის დაწყებამდე ვიგებდით. ერთ ხანს ანგარიშში 4-5 ბურთის სხვაობითაც კი ვიყავით დაწინაურებულნი, მაგრამ ბოლოს ჩვენს გუნდს გამძლეობამ უღალატა. ასე იყო ალმაათელებთან მატჩშიც. ახლა გუნდის წევრები გამოჯანმრთელებულნი არიან და მონდომებით ემზადებიან საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურისთვის, რომელიც ოქტომბერში კიევში გაიმართება.

**ავთანდილ ჭყვიშელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური ქარტია

## წესები

### დისციპლინები

დისციპლინას, რომელიც წარმოადგენს სპორტის ოლიმპიური სახეობის განშტოებას და შეიცავს ერთ ან რამდენიმე სახის შეჯიბრებას, ოლიმპიური თამაშების პროგრამაში დასაბუთებული ჩართვისათვის, უნდა ჰქონდეს მყარი საერთაშორისო აღიარება.
დისციპლინაში დაშვების კრიტერი "სპორტის სახეობის დაშვების კრიტერის ანალოგიურია. დისციპლინა პროგრამაში ჩაირთვება მორიგ ოლიმპიურ თამაშებამდე 6 წლით ადრე. ყოველგვარი ცვლილებების შეტანა შემდგომში დაუშვებელია.

### შეჯიბრების სახეობები

შეჯიბრების სახეობად ითვლება შეჯიბრება სპორტის სახეობის ან მისი დისციპლინის ჩარჩოებში, რომლის შედეგია ადგილების განაწილება და მედლების გადაცემა.
ოლიმპიურ პროგრამაში შეჯიბრების სახეობის ჩართვისათვის აუცილებელია, შეჯიბრების ამ ოლიმპიურ სახეობას ჰქონდეს მყარი საერთაშორისო სტატუსი, როგორც ქვეყნების რაოდენობის, ისე გეოგრაფიული გავრცობით, ამასთან არანაკლებ ორჯერ უნდა შედიოდეს მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში, კონტინენტალურ და (ან) რეგიონალურ თამაშებში.
ოლიმპიადების და ზამთრის თამაშების პროგრამაში შეიძლება ჩაირთოს მხოლოდ იმ სახეობების შეჯიბრებები, რომლებიც გავრცელებულნი არიან არანაკლებ 25 ქვეყნისა სამ კონტინენტზე ვაჟთა შორის და (ან) ქალთა შორის.
შეჯიბრებების სახეობები პროგრამაში შეაქვთ ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე 4 წლით ადრე. ყოველგვარი ცვლილებების შეტანა შემდგომში დაუშვებელია.

### 45. წინაოლიმპიური შეჯიბრებები

ისე, როგორც ოლიმპიური თამაშები, წინაოლიმპიური შეჯიბრებები მე-10 წესის შესაბამისად, ითვლება სოკ-ის განსაკუთრებულ საკუთრებად.
„წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში" იგულისხმება ნებისმიერი შეჯიბრება, რომელიც ტარდება საორგანიზაციო კომიტეტის კონტროლით ნებისმიერ დროს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე და სპორტულ ბაზებზე, რომელიც განკუთვნილია თამაშების დროს გამოსაყენებლად.
ეროვნული წინასწარი და შერჩევითი შეჯიბრებები, რომელიც არ უპასუხებს წინამდებარე პარაგრაფის კრიტერიას, არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც წინაოლიმპიური შეჯიბრება და მათ არ შეუძლიათ ატარონ ეს სახელი. მეორე მხრივ, საკვალიფიკაციო შეჯიბრებები ოლიმპიურ ფინალში მონაწილეობის უფლებისათვის, რომელსაც ატარებს საორგანიზაციო კომიტეტი, სპორტის სახეობებში, რომლებიც შედიან ოლიმპიურ პროგრამაში და ტარდება ოლიმპიურ ობიექტებზე ან სხვა ადგილებში, განიხილება როგორც წინაოლიმპიური.

ყველა წესი, რომელიც ეხება ოლიმპიურ თამაშებს, გარდა წინამდებარე წესების ოფიციალურ განმარტებებში ჩამოთვლილისა, მიიღებიან წინაოლიმპიური თამაშებისათვის აუცილებელი კორექტივების გათვალისწინებით.

### 46. ოლიმპიური პროგრამა

ოლიმპიური თამაშების პროგრამა უნდა შეიცავდეს არანაკლებ 15 სპორტის სახეობას, რომლებსაც აქვთ პროგრამაში ჩართვის უფლება.
ზამთრის თამაშებისათვის სპორტის სახეობების მინიმალური რაოდენობა არ წესდება.

### განაცხადები

განაცხადების რიცხვს ადგენს სოკ-ი სსფ-თან შესაბამისი კონსულტაციის შემდეგ.
განაცხადების რიცხვი ინდივიდუალური შეჯიბრების სახეობაში არ უნდა აჭარბებდეს სამს თითოეული ქვეყნიდან. გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ სპორტის ზამთრის ! ცალკეულ სახეობებში.
განაცხადების რიცხვი ინდივიდუალური შეჯიბრებების სახეობაში არ უნდა აჭარბებდეს განაცხადების იმ რიცხვს, რასაც ითვალისწინებს მსოფლიო ჩემპიონატები.
სპორტის გუნდურ სახეობებში, რომელშიაც მონაწილეობენ ვაჟთა და ქალთა გუნდები, საერთო რიცხვი გუნდებისა არ უნდა აჭარბებდეს ოცს (მინიმუმი 8, მაქსიმუმი 12 გუნდი, როგორც ვაჟებში, ისე ქალებში).
სპორტის გუნდურ სახეობებში, რომლებშიაც მონაწილეობენ მხოლოდ ვაჟები ან მხოლოდ ქალები, გუნდების რიცხვი არ უნდა აჭარბებდეს თორმეტს, გამონაკლისია ფეხბურთელთა ტურნირი, სადაც მონაწილეობის უფლება ეძლევა 16 გუნდს.

### სათადარიგო რიცხვი

სათადარიგოთა რიცხვის სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფის მიზნით ზოგიერთ გუნდში და სპორტის ინდივიდუალურ სახეობაში, და იმის გათვალისწინებით, რომ სპორტის ზოგიერთ სხვა სახეობაში დასაშვებია ქვეყნიდან სათადარიგოს გარეშე თითო სპორტსმენის მონაწილეობა შეჯიბრების სახეობაში, სოკ-ს შეუძლია, შესაბამის სსფ-თან კონსულტაციის შემდეგ აუცილებლობის შემთხვევაში, გაზარდოს ან შეამციროს სათადარიგოთა რიცხვი.

### 47. ოლიმპიური პროგრამის გადასინჯვა

სოკ-ი ოლიმპიურ პროგრამას გადასინჯავს ყოველი ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ. გადასინჯვა ხდება წინა ორი ოლიმპიადის შედეგების მიხედვით.
პროგრამის გადასინჯვისას სოკ-ი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილება სპორტის სახეობების, დისციპლინის და (ან) შეჯიბრების სახეობის ჩართვის კრიტერიებში, თუ მათდამი ინტერესი, მათი ჩართვის პირობების შესაბამისად, არასაკმარისია, ან თუ მათზე არ ხორციელდება ოლიმპიური წესების მოთხოვნების შესაბამისი კონტროლი.

### აღჭურვილობები, ნაგებობები

სსფ-ი ვალდებულნი არიან ინფორმაცია მიაწოდონ სოკ-ს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს და საორგანიზაციო კომიტეტს შეჯიბრების ჩატარების ადგილის აღჭურვილობის შესახებ, ტექნიკური დანადგარების, სპორტული ინვენტარის და ოლიმპიური თამაშებისათვის შერჩევის სისტემის ან კრიტერიების შესახებ არანაკლებ სამი წლისა თამაშების დაწყებამდე.

### 48. სპორტის სადემონსტრაციო სახეობები

სოკ-თან შეთანხმებით საორგანიზაციო კომიტეტს შეუძლია შეარჩიოს აღიარებულ სპორტის სახეობებს შორის ორი სახეობა და ორგანიზაცია გაუწიოს მათ დემონსტრირებას ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით, ოფიციალური განმარტებების დებულების შესატყვისად.

### 49. ტექნიკური დელეგატები

სოკ-ის მიერ აღიარებული ყოველი სსფ ახორციელებს კონტროლს და ტექნიკურ ხელმძღვანელობას თავიანთ სპორტის სახეობებზე. ყველა სტადიონი, ტრეკი, დისტანცია და ინვენტარი უნდა უპასუხებდეს სსფ-ის წესებს.
მათ შეუძლიათ მიავლინონ თავიანთი ორი წარმომადგენელი სპორტული ნაგებობების აღჭურვის პერიოდში სსფ-ის წესებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, აგრეთვე, 50-ე წესის თანახმად, დაბანაკების, კვების და ოფიციალური ტექნიკური პირების და მსაჯების პირობების კონტროლისთვის. ამ წარმომადგენლების ხარჯებს (პირველი კლასის თვითმფრინავით მგზავრობა, თუ მანძილი აღემატება 2400 კმ-ს; ან ტურისტული კლასით, დაბინავება სასტუმროში და კვება) აანაზღაურებს საორგანიზაციო კომიტეტი.
ყოველი სსფ მიავლენს თავის ორ წარმომადგენელს არა უგვიანეს 5 დღისა სპორტის შესაბამის სახეობაში პირველი შეჯიბრების დაწყებამდე ყველა საჭირო ცნობების მიღებისათვის განაცხადებთან დაკავშირებით, საორგანიზაციო კომიტეტმა აგრეთვე უნდა აანაზღაუროს მათი ხარჯები ამ ხნის განმავლობაში და ოლიმპიური თამაშების დახურვამდე (პირველი კლასის თვითმფრინავით მგზავრობა, თუ მანძილი აღემატება 2400 კმ-ს, ან ტურისტული კლასით, დაბინავება სასტუმროში და კვება).
განსაკუთრებულ შემთხვევაში ან როცა არსებობს ტექნიკური აუცილებლობა დელეგატთა დამატებით რიცხვის დასწრებისა, საორგანიზაციო კომიტეტთან შეიძლება მიღწეულ იქნეს განსაკუთრებული შეთანხმება, სოკ-ს წინასწარ უნდა ეცნობოს ამის შესახებ. უთანხმოების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სოკ-ი.

### 50. ოფიციალური ტექნიკური პირები და ჟიური

შესაბამისი სსფ ნიშნავს აუცილებელი რაოდენობის ოფიციალურ ტექნიკურ პირებს (არბიტრები, მსაჯები, ინსპექტორ ქრონომეტრისტები) და ჟიურის წევრებს თითოეულ სახეობაში. ჟიურის ეს წევრები თავის მუშაობას ატარებენ საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად. ოფიციალურ პირთა და ჟიურის წევრთა რიცხვში შედიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც არასოდეს ყოფილან პროფესიულ სპორტში.
ოფიციალური პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღებაში, არ შეიძლება შედიოდნენ ჟიურის შემადგენლობაში, რომელიც განიხილავს მოცემულ გადაწყვეტილებას.
ჟიურის გადაწყვეტილება უმოკლეს დროში უნდა ეცნობოს სოკ-ს. ჟიური წყვეტს ყველა ტექნიკურ საკითხს თავის სპორტის სახეობაში. მისი გადაწყვეტილება, დისციპლინარული გადაწყვეტილების ჩართვით, არის საბოლოო. ამასთან, სოკ-ი იტოვებს უფლებას მიიღოს დამატებითი სანქციები.
ოფიციალურმა ტექნიკურმა პირებმა და ჟიურის წევრებმა არ უნდა იცხოვრონ ოლიმპიურ სოფლებში, მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს მათი აუცილებელი დაბინავება, კვება და ტრანსპორტი ხელმისაწვდომ ფასებში. მათი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს სპორტის ყოველ სახეობაში სოკ-ის შესაბამისი სსფ-ის მიერ დადგენილ რაოდენობას. ისინი არ შედიან იმ პირთა ჩამონათვალში, რომელიც ნაჩვენებია 37-ე წესის ოფიციალურ განმარტებებში.
ეს ოფიციალური ტექნიკური პირები და ჟიურის წევრები არ შედიან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების დელეგაციის შემადგენლობაში, მაგრამ იმყოფებიან შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის იურისდიქციაში.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 131, 133, 139, 158, 167, 178.

# „დინამო" — „არარატი"

დასასრული

თველოს ხელმძღვანელობდა) აღმოვჩნდი. ამაში, პირდაპირ გეტყვით, „ბრალი" ჩვენს ძველ მეგობარს, სომხეთის სპორტულ გაზეთ „ჰაიასტანი ფიზკულტურნიკის" რედაქტორის მოადგილეს, წარმოშობით ბათუმელ მისაკ ნაზარიანს მიუძღოდა.

ჩვენც, ცხადია, არ დავაყოვნეთ.

— „არარატში" ახლა მთლიანად შეიცვალა ხელმძღვანელობა — ჩემს გარდა გუნდის უფროსად დანიშნეს არმენ სარქისიანი, მწვრთნელებად მოვიდნენ სურენ ბარსეღიანი და გულშემატკივართათვის კარგად ცნობილი ქაკ სუფრიკიანი, წარმოიდგინეთ, რომ ადმინისტრატორიც კი ახალი გვყავს — აშოტ მანუკიანი. კოლექტივში დღეს კარგი განწყობილებაა, თამაში სტაბილური გახდა, ბიჭები შემართებით ვარჯიშობენ და მგონი ცუდად არ თამაშობენ. ალბათ უმაღლესი ლიგიდან არ გავვარდებით, ისევე როგორც ჩვენი მეგობრები — თბილისელი დინამოელები! სამწუხაროდ, წლევანდელ სეზონში „ყოფნა-არყოფნა" ჩვენი გუნდების მთავარი ამოცანაა. აი, გაისად კი, ვნახოთ... ისე კი, ჩვენ მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს თქვენს „დინამოს". კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო მატჩებში თქვენმა ფეხბურთელებმა, ვფიქრობ, თითქოს იპოვნეს საკუთარი თამაში. ცხადია, ჩვეული ფორმისგან გუნდი ჯერ კიდევ შორსაა. ალბათ, ზედმეტი იქნება იმის მტკიცება, რომ „დინამოსა" და „არარატის" შეხვედრები მუდამ საინტერესოდ მიმდინარეობს და გულშემატკივრებისთვის დიდი სიხარული მოაქვს. ერთი სიტყვით, როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი გუნდის სატურნირო მდგომარეობა, თბილისში ჩამოსვლა მუდამ გვახარებს და გვეამაყება. აი, დღესაც, ხომ ხედავთ, რამდენი ადამიანი დაგვხვდა აეროპორტში, წარმოიდგინეთ ამინდმაც კი გამოიდარა, გაგვიღიმა. თქვენი „იკარუსი" — წარწერებით „დინამო" — „არარატი", რამიც დიდი პატივი და სიყვარული დავინახეთ, წამსვე მოგვხვდა თვალში. ჯერ ცოტა არ იყოს გაგვიკვირდა—ჩვენი გუნდის ავტობუსი გვეგონა (ისიც წითელი „იკარუსია"), „ზვარტნოცის" აეროპორტში რომ დავტოვეთ—აქ როგორ მოხვდათ?! წარმოიდგინეთ, ჩვენი და თქვენი მძღოლებიც კი გვანან ერთმანეთს —ერევნელი რუბენი და თბილისელი ანზორი. ერთი სიტყვით, თავი შინ გვეგონა.

გულისხმიერ, ენაწყლიან სტუმარს გზაში ვუჩვენეთ აეროპორტში საგანგებოდ წამოღებული ერევნის „დინამოს" ძველი, 1949 წელს გადაღებული ფოტოსურათი, რომელსაც „ლელოს" მკითხველებს ვთავაზობთ. ძალიან ესიამოვნა და გაუკვირდა (წარმოიდგინეთ, მთელი ავტობუსი აღტაცებით ათვალიერებდა ამ უნიკალურ სურათს). ნ. ყაზარიანმა გვითხრა, რომ აქ გამოსახული თერთმეტი ფეხბურთელიდან (სხვათა შორის, აქვე დგას მეკარე არუთიუნ ქელეჯიანიც, ერთ დროს თბილისის „დინამოში" რომ თამაშობდა) სამი, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარაა — არმენაკ დურგარიანი, იშხან ბეგლარიანი და ვიქტორ მერკულოვი, გუნდის კაპიტანი ჰაიკ კარმირიანი და ჰოვსეფ ასატრიანი საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდნენ. სხვათა შორის, ასევე ამერიკაში ცხოვრობს დღეს „არარატის" ყოფილი ფეხბურთელი ლევონ იშტოიანიც. იგი ლოს-ანჯელესში ბავშვთა გუნდს „ჰაიასტანს" ავარჯიშებს.



სურათზე: ერევნის „დინამოს" 1949 წლის შემადგენლობა (გადაღებულია სომხეთის დედაქალაქის ძველ სტადიონზე) — კარმირიანი, ქელეჯიანი, სემერჯიანი, დურგარიანი, ფოლადიანი, კეშეიანი, ასატრიანი, ბეგლარიანი, მხოიანი, მკრტიჩიანი, მერკულოვი.
ფოტოს „ლელოს" არქივიდან.



სიონის ეკლესიის გალავანში.
ჯემალ კახრაძის ფოტო.

ყოველივე ეს, როგორც მოგახსენეთ, გუშინ მატჩის წინ მოხდა, შუადღისას. სტუმრებმა სიონის ეკლესიაში სომხეთის სპორტკომიტეტისა და „არარატის" საგანგებოდ ჩამოტანილი გვირგვინებით შეამკეს თბილისში 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპულთა მემორიალი. გულამაჩუყებელი და ლაკონური იყო მათი წარწერა — „უდანაშაულო მსხვერპლს".

ოთარ ნოზაძე.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, XXVI ტურის მატჩი. თბილისის „დინამომ" ერევნის „არარატს" უმასპინძლა.
შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ტურის სხვა მატჩები;

„პამირი" — „დინამო" მ. 1:1

„დინამო" მნ. — „ლოკომოტივი" 1:1

„ზენიტი" — „მეტალისტი" 2:2

## დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** გ. დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა სათადარიგო შემადგენლობის შეხვედრა. თბილისის „დინამომ" მიიღო ერევნის „არარატი".
თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით—4:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს: კერძევაძემ, ყიზილაშვილმა და კვინტრაძემ-2.
თბილისის „დინამოს" შემადგენლობა: ჰანტურია (ჯანელიძე), გუჯაბიძე, თ. ყიფიანი, მაჰავარიანი, არზიანი (ხურცილავა), რევიშვილი (ხვადაგიანი), თედეევი (ლ. ყიფიანი), კერძევაძე, ყიზილაშვილი, დარასელია (ჯამარაული), კვინტრაძე.

სსრ კავშირის პირველობის შესარჩევი ტურნირი კალათბურთში

# მხოლოდ გამარჯვებისათვის

— **თბილისში** თავი მოიყარა უფრო ძლიერმა შემადგენლობამ მეორე ქვეჯგუფთან შედარებით (მეორე შვეჯგუფის ტურნირი მიმდინარეობს ოდესის ოლქის ქალაქ ილიჩევსკში — გ. ბ.), — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ვალერი პეტროსიანმა, — კარგი გუნდები ჰყავთ თბილისს, ლენინგრადს, ვლადივოსტოკს. ჯერჯერობით რაიმე პროგნოზის გაკეთება ძნელია, მეტად დაძაბული და საინტერესო შეხვედრებია მოსალოდნელი. თბილისის „ივერიამ" პირველივე მატჩი წააგო ტალინის „კალევთან", ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, ზედიზედ ორი შეხვედრა დათმო მოსკოვისა და ვლადივოსტოკის გუნდებთან. ამასობაში „ივერიამ" მდგომარეობა გამოასწორა და სამი გამარჯვება მოიპოვა, ჩემის აზრით, მხოლოდ ტურნირის ბოლო დღეს გაირკვევა, თუ ვინ მოიპოვებს I ლიგის ერთადერთ საგზურს ჩვენს ქვეჯგუფში...

● **სწორია, ფავორიტებად რომ გთვლიან?** — ამ კითხვით მივმართეთ ვლადივოსტოკის გუნდის მწვრთნელს პაველ სტეპანენკოს.

— წინა ტურნირებში წარუმატებლად გამოვედით. აქ კი პირველი ადგილის დასაკავებლად ჩამოვედით. სხვა მხრივ ამხელა გზაზე სიარულს აზრი არ ექნებოდა.

● **როგორ აფასებთ ტურნირს?**

— ჩვენს ქვეჯგუფში მართლაც ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი: თბილისის „ივერია", ლენინგრადის „სპექტრანსი"... კარგი კოლექტივები ჰყავთ ტალინსა და მოსკოვს. მოკლედ, ეს ქვეჯგუფი მთელი თავით მაღლა დგას ოდესის ქვეჯგუფზე. I ლიგის საგზურის მოპოვება ძნელი იქნება. ძირითადი ბრძოლა ალბათ თბილისის, ლენინგრადის და ჩვენს გუნდებს შორის გაიმართება. ესენი ერთნაირი სიძლიერის გუნდებია, მაგრამ ყველა მათგანს აქვს სუსტი და ძლიერი მხარე. ნუ ეწყინებათ სხვებს, ყველაზე ძლიერი პიჩერები და ქეჩერები ჩვენ გუნდში გვყავს...

ბოლოს კი, ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელს გელა ჩირაძეს ვთხოვეთ მოეთხრო განვლილი თამაშების შესახებ.

— პირველ შეხვედრაში ჩვენს მოთამაშეთა შორის თავი იჩინა ნერვულმა დაძაბულობამ. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ გუნდი პირველად გამოდიოდა ჩვენი მაყურებლის წინაშე ასეთ საპასუხისმგებლო მატჩში. პირველი შეხვედრა დავთმეთ ტალინის გუნდთან, დანარჩენი მატჩები კი უფრო ძლიერად ჩავატარეთ და გავიმარჯვეთ. უკან დასახევი გზა არა გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ მხოლოდ გამარჯვებისათვის!

**თბილისის** „ივერიამ" მომდევნო მატჩში დამაჯერებლად სძლია მოსკოვის გუნდს — 22:11.

**გია გურდული**

• • •

**ილიჩევსკის** ქვეჯგუფში წარმატებით ასპარეზობს თბილისის მეორე გუნდი „მერანი". როგორც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა დავით დავითაშვილმა გვაცნობა, „მერანმა" დაამარცხა მინსკელი კეტბურთელები — 22:1, შემდეგ მოსკოვის გუნდსაც მოუგო — 20:18.

# სამინისტროს რეალური დახმარების შედეგი

**წლების** განმავლობაში, „ლელოს" ფურცლებზე, ლაპარაკი გვაქვს იმის თაობაზე, თუ რა არასახარბიელო მდგომარეობაშია ავტოსპორტი ჩვენს რესპუბლიკაში. გადიოდა დრო და მავანთა და მავანთა უყურადღებობის გამო, სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის საქმე ნელ-ნელა უკან მიდიოდა. იცვლებოდა თაობები და ვინ იცის რამდენი ნიჭიერი სპორტსმენი ჩამოცილდა საყვარელ სპორტს მხოლოდ იმის გამო, რომ ვერ შეძლო გაწევდომოდა იმ დიდ ხარჯებს, რომელიც, რა დასამალია და, თავად სპორტსმენების ჯიბიდან იხარჯებოდა სარბოლო მანქანების მოსამზადებლად.

სამწუხაროდ, დიდხანს გვეკავა წაგებულის პოზიცია და ამას ზიანის გარდა, ავტოსპორტისთვის არაფერი მოუტანია. ყოველ წარუმატებლობას რაღაცით ვამართლებდით, ვცდილობდით ამბების შელამაზებას იქ, სადაც პირიქით უნდა გვემოქმედა. ყველაფერმა ამან თავისი უარყოფითი შედეგი გამოიღო და სპორტის იმ სახეობაში, რომელშიც ადრე მოწინავე პოზიციები გვეკავა, ბოლო დროს სტატისტთა როლში აღმოვჩნდით. დადგა ისეთი კრიტიკული მომენტი, რომ საქმეს მხოლოდ რეალური დახმარება თუ უშველიდა.

და აი, საბედნიეროდ, ასეთი დახმარებაც გამოჩნდა. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროსთან შეიქმნა საავტომობილო სპორტულ-ტექნიკური კლუბი, სადაც სპორტის ამ სახეობის ნამდვილი ენთუზიასტები შეიკრიბნენ. ჩვენ ამის თაობაზე უკვე ვწერდით. ვწერდით იმის შესახებაც, რომ ახლადშექმნილ კლუბს, რომელიც დოსაafთან ერთად რესპუბლიკის ნაკრების ძირითადი საყრდენი ბაზაა, მრავალი პრობლემა ჰქონდათ გადასაჭრელი. გავიდა რამოდენიმე ხანი, სახე იცვალა სამინისტრომ, მას სათავეში ჩაუდგა ახალი მინისტრი ალექსანდრე გლურჯიძე და ავტოკლუბის პრობლემების ნუსხამაც ნელნელა შეთხელება იწყო. სამინისტროს სასწავლო კომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე კლუბისთვის დაიწყო 12-ბოქსიანი სადგომის მშენებლობა. სპორტსმენებს შეუძინეს ხუთი ახალი სარბოლო მანქანა, ტექნიკური მომზადებისა და შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის საჭირო დამხმარე ავტოტექნიკა. ამჟამად კლუბი უკვე უზრუნველყოფილია სათადარიგო ნაწილებით, საწვავით, საბურავებით. ერთი სიტყვით, კლუბის დირექტორის, გენო თურმანიძის აზრით, ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

შედეგმაც, როგორც იტყვიან, არ დააყოვნა. ამ ცოტა ხნის წინ რიგაში გაიმართა ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „ტრუდის" პრიზზე საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებსა და კლუბებს შორის. საქართველოს ნაკრებმა,

**ავტოსპორტი**

რომლის შემადგენლობაში იყვნენ ოთარ ბერძენიშვილი, [illegible] ვილი, იგორ ლოგინოვი, სანდრო მირიანაშვილი, გურამ თვაური და დავით წიკლაური (მწვრთნელები მიხეილ ლოგინოვი და შოთა ხომერიკი), სამინისტროებს შორის გუნდური მესამე ადგილი მოიპოვა (მოსკოვისა და უკრაინის შემდეგ), კლუბებს შორის კი წინ მხოლოდ სპორტულ-ტექნიკური კლუბი „სლავუტიჩი" გაუშვა უკრაინიდან.

ეს, რა თქმა უნდა, არ არის ურიგო შედეგი და, ვფიქრობთ, საქართველოს ავტოსპორტსმენთა შემდგომ წარმატებებს სწორედ აქედან ჩაეყრება საფუძველი. მით უმეტეს, რომ ავტოკლუბს სამინისტროსა და მისი საწარმოების სახით ისეთი მფარველი გამოუჩნდა, რომელიც, იმედია, ყველაფერში მხარში ამოუდგება თავად კლუბსაც და მასში გაერთიანებულ სპორტსმენებსაც.

**გიორგი კორკია.**

# ათლეტიზმი თაყვანისმცემლებს იძენს

**საქართველოს** სპორტულ რუკაზე ათლეტიზმის კიდევ ერთი ცენტრი გაჩნდა — სამტრედიაში შეიქმნა დოცენტ კ. ზაუტაშვილის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური ათლეტური კლუბის „ამირანის" რაიონული ფილიალი. ამიერიდან სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს საშუალება ეძლევათ სრულყონ თავიანთი სხეულის სილამაზე, ძალა, გაიკაჟონ ჯანმრთელობა.

ათლეტიზმი, სპორტის შედარებით ახალგაზრდა სახეობა, ყოველწლიურად იძენს პოპულარობას. ამას ხელს უწყობს „ამირანის" პროპაგანდისტული მოღვაწეობაც. რესპუბლიკის ბევრ ქალაქში, მაგალითად თბილისში, სიღნაღში, გურჯაანში, კასპში, თელავში, შექმნილია და წარმატებით მუშაობენ ფილიალები. აქ მოვარჯიშეთა რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება.

სამტრედიაში ცენტრალური კლუბის ფილიალის შექმნის იდეამ მხარდაჭერა ჰპოვა რაიონის ხელ-



მძღვანელობისაგან. პარტიის რაიკომმა, რაიაღმასკომმა. კომკავშირის, ფიზკულტურისა და სპორტის, სხვადასხვა პროფკავშირთა კომიტეტებმა გადადგეს რეალური ნაბიჯები. არჩეულია ფილიალის პრეზიდიუმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა წარსულში ძალოსანი, ამჟამად სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექტორი თეიმურაზ გეგეშიძე. უფროს მწვრთნელად იმუშავებს გამოცდილი სპეციალისტი ბარნაბ მიქელაძე, რომელიც კლუბ „ამირანის" რესპუბლიკური საბჭოს წევრია.

დადებითად გადაწყდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხი. ენთუზიასტთა თხოვნას გამოეხმაურნენ სოფელ კულაშში მდებარე 92-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი იზოლდა ნადირაძე და ფიზკულტურის მასწავლებელი თამაზ გოგიბერიძე. ახალმა ფილიალმა ბინა დაიდო იმ სასწავლებლის სპორტკომპლექსის შენობაში, ეს კი თავის მხრივ დაეხმარება სასწავლებელს ფიზკულტურულ-სპორტულსა და გამაჯანსაღებელ მუშაობაში.

აქ ჩატარდება სარემონტო სამუშაოები — გამოიყვანენ ცხელსა და ცივ წყალს, მოაწყობენ გასახდელებს, საშხაპეებს. დარბაზი აღიჭურვება საჭირო ინვენტარითა და ტრენაჟორებით.

(საქინფორმი).

## ჰონორარი „მსოფლიო თასის" მონაწილეებს

„**მსოფლიო** თასის" პირველი გათამაშების დამთავრების შემდეგ მისმა მონაწილეებმა ასეთი ჰონორარი მიიღეს: კასპაროვმა — 100 ათასი დოლარი, კარპოვმა — 75 ათასი, სალოვმა — 50 ათასი, ელვესტმა — 40 ათასი, ლიუბოევიჩმა — 35 ათასი, ნანმა — 30 ათასი, ბელიავსკიმ და შორტმა — 28-28 ათასი, პორტიშმა — 17 ათასი, ტალმა — 16 ათასი, საქსმა — 15 ათასი, ანდერსონმა — 14 ათასი, სეირავანმა — 12 ათასი, რიბლიმ — 11 ათასი, სპილმენმა — 10 ათასი, ვაჰანიანმა — 9 ათასი, იუსუპოვმა, სპასკიმ, ნიკოლიჩმა, კორჩნოიმ, ჰიარტარსონმა და ნოგეირასმა — 8-8 ათასი დოლარი თითოეულმა.

რა თქმა უნდა, გარდა ამისა, მონაწილეებმა ჰონორარი მიიღეს ყოველ ტურნირში (ოთხ-ოთხში თამაშობდნენ) მონაწილეობისათვის. კასპაროვის საერთო შემოსავალი ყველა ამ ასპარეზობის შემდეგ იუგოსლავიურ გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის" ცნობით, დაახლოებით 200 ათასი დოლარია.



## იტალია-90

## მსოფლიო ჩემპიონატი

გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები ევროპულ ზონებში.

მესამე შესარჩევ ჯგუფში, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრები გამოდის, გაიმართა მორიგი მატჩი. ისლანდიელებმა თურქეთის ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლეს, შეხვედრა ისლანდიელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 2:1 — დამთავრდა.

აღსანიშნავია, რომ ისლანდიის ნაკრებს ამ შეხვედრაში მწვრთნელი გ. კიარტარსონი ედგა სათავეში, რომელმაც ამ პოსტზე ზ. ხელდა შეცვალა.

კიარტარსონმა გუნდში მოიწვია განთქმული ფეხბურთელი პეტურსონი, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება თურქეთის ნაკრების კარში ორი გატანილი ბურთით აღნიშნა. საპასუხო ბურთი თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე გაიტანა ფეიაზმა. მესამე შესარჩევ ჯგუფში დღეისათვის ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 6 | 3 | 3 | 0 | 8-2 | 9 |
| ავსტრია | 6 | 2 | 3 | 1 | 6-6 | 7 |
| ისლანდია | 8 | 1 | 4 | 3 | 6-11 | 6 |
| თურქეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-8 | 5 |
| გდრ | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 5 |

მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში შვეიცარიის ნაკრები საკუთარ მოედანზე დამარცხდა პორტუგალიელებთან — 1:2. გათამაშების ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 6 | 4 | 2 | 0 | 12-2 | 10 |
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 3 | 1 | 1 | 8-2 | 7 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| შვეიცარია | 5 | 1 | 0 | 4 | 6-8 | 2 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-16 | 0 |

## მოლოდინს გადააჭარბა

**ათი** თვით ადრე კეთილი ნების თამაშების დაწყებამდე სიეტლში უკვე გაიყიდა სამი მილიონი დოლარის ბილეთები. საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის ბობ უოლშის განცხადებით, „ბილეთების რეალიზაციის ტემპმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა, უკვე აღარც ერთი ბილეთი აღარ დარჩა მოცურავეთა და წყალში მხტომელთა შეჯიბრებაზე. არა და ოლიმპიური ან პანამერიკული თამაშების ბილეთებს ხალხი შეჯიბრების წინ ყიდულობდა".

იმავე უოლშის აზრით, ორგანიზატორები კმაყოფილი იქნებიან იმ შემთხვევაშიც, თუ ბაზები 60 პროცენტით მაინც დაიტვირთება. ჯერჯერობით კი საქმე ისე მიდის, რომ ბილეთები საერთოდ დეფიციტი შეიძლება გახდეს, ბილეთების ღირებულება სამიდან ორმოცდაათ დოლარამდე მერყეობს, თამაშების გახსნის ცერემონიალზე კი მათი ღირებულება 200 დოლარს მიაღწევს.

კეთილი ნების თამაშები, როგორც ცნობილია, დაიწყება 1990 წლის 20 ივლისს და გასტანს 5 აგვისტომდე.

## „სპორტლოტო"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1989 წლის 38-ე ტირაჟების შედეგები; რომელიც 17 სექტემბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.366.955 ვარიანტი. 6 ნომერი ვერავინ გამოიცნო. 5 ნომრის გამოცნობისთვის (37) მოგება 1.479 მანეთია, ოთხისთვის (1.958) — 31, სამისთვის (29.865) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 36.894 ვარიანტი. 6-0, 5-2, 4-49, 3-953.

**„სპორტლოტო 5 36-დან:** ტირაჟში დაშვებულია 13.820.631 ვარიანტი. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (111) მოგება 3.801 მანეთია, ოთხისთვის (13.130) — 47, სამისთვის (258.504) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 404.294 ვარიანტი. 5-1 (ზუგდიდი), 4-404, 3-7.559.

38-ე ტირაჟისა და 29-38 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 9 ოქტომბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით.

## „სპორტპროგნოზი"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების პირველ თამაშებზე შედგენილი „სპორტპროგნოზის" სპეციალური ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 13 სექტემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 1.633.365 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (41) მოგება 597 მანეთია, 12 შედეგისთვის (1.167) — 41 მანეთი, 11 შედეგისთვის (12.090) — 14 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 81.507 ვარიანტი, 13 — 5, 12 — 61, 11 — 576.

38-ე ტირაჟისა და სპეცტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 9 ოქტომბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით.

**გაიმართა** დასკვნითი ეტაპის მეშვიდე ტურის მატჩები. ლიდერმა, ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა ქუთაისის „აიამ" პირველი მარცხი იწვნია. ჩვენებმა მოსკოვში წააგეს იქაურ „ლოკომოტივთან" — 13:16 და ოდნავ გაიუარესეს ჩემპიონობის მესამედ მოპოვების შანსი. ქუთაისელთა მდევარმა მონინოს სსა-მ შინ სძლია კრასნოიარსკის ეტს-ს — 7:6.

მოსკოვში „სლავამ" მოუგო „ფილის" (7:4), კიევში კი იქაური „ავიატორისა" და თბილისის „ელმაველის" თამაში არ გამართულა.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 25 სექტემბრისთვის**

**I-IV ადგილებისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „აია" | 7 | 6 | 0 | 1 | 12 |
| სსა | 7 | 5 | 1 | 1 | 11 |
| ეტს | 7 | 4 | 0 | 3 | 8 |
| „ლოკომ." | 7 | 3 | 1 | 3 | 7 |

### საკავშირო ჩემპიონატი რაგბიში



**V-VIII ადგილებისთვის**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „სლავა" | 7 | 3 | 2 | 2 | 8 |
| „ავიატორი" | 6 | 1 | 2 | 3 | 4 |
| „ელმავალი" | 6 | 1 | 0 | 5 | 2 |
| „ფილი" | 7 | 1 | 0 | 6 | 2 |

მომდევნო ტურში, ორშაბათს, 25 სექტემბერს, ითამაშებენ: „აია" — სსა, ეტს — „ლოკომოტივი"; „ელმავალი" — „სლავა", „ფილი" — „ავიატორი".

## ყველა დროის საუკეთესო...

**საფრანგეთის** დიდი რევოლუციის 200 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით პარიზის ჟურნალმა „ექსპრესმა" ჩაატარა გამოკითხვა ყველა დროის საუკეთესო ფრანგი სპორტსმენის გამოსავლენად. ხმების უმრავლესობით გამარჯვება მიეკუთვნა ველოსიპედისტ ბერნარ ინოს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ფეხბურთელი მიშელ პლატინი, კიდევ ერთი ველოსიპედისტი ჟაკ ანკეტილი და ავტომრბოლელი ალენ პროსტი.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის გამზირი, 74)
25 სექტემბერი
რაგბი
სსრ კავშირის ჩემპიონატი
„ელმავალი" (თბილისი) — „სლავა" (მოსკოვი)
დასაწყისი 17 საათზე
გათამაშდება ლატარია „ქიგულის" ურიგოდ შეძენის უფლების მოსაპოვებლად.

საქართველოს სპორტსახკომი და სპორტის ზამთრის სახეობების რესპუბლიკური ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ სპორტსახკომის სპორტის ზამთრის სახეობების სამმართველოს უფროსს ფერნბექს ნავერიანს ძმის

**ნიუტონ სილიბისტროს ძე ნავერიანის**

გარდაცვალების გამო.

ინდექსი 66486. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 00351